აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



# ანგარიში

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2023 წლის 9 თვეში გაწეული ღონისძიებების შესახებ

2023 წელი

**სარჩევი**


**1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო .......... 3**

*1.1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი .......................................................... 3*

ცხრილი 1 2023 წლის 9 თვეში აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები გადასახადების სახეების მიხედვით...........................................................................3

დიაგრამა 1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2023/9 თვეში ............................................4

დიაგრამა 2 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2023/9 თვე-2022/9 თვე........4

1.2. სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სსიპ-ების და ა(ა)იპ-ის მიერ 2023 წლის 9 თვეში განხორციელებული აქტივობები ........................................................................................... 9

*1.2.1. სსიპ აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო....................................9*

*1.2.2. სსიპ ეკონომიკური პროგრამების სააგენტო .................................***Ошибка! Закладка не определена.**

*1.2.3. სსიპაფხაზეთიდანიძულებითგადაადგილებულპირთასტაჟირების, კვალიფიკაციისამაღლებისადადასაქმებისხელშეწყობისცენტრიბიზნესინკუბატორი................14*

*1.2.4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა ..................................16*

*1.2.5. ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის.................................16*

**2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტრო ........................................................ 19**

**3.** ***განათლების და კულტურის სამინისტრო*** **............................................................................ 29**

**4. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი ........................................................................ 38**

**5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო.................................................................................................. 44**

*5.1. სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტო“.......................................................................................................................... 48*

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2023 წლის 9 თვის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ა/რ სამინისტროების და უწყებებისგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

## 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდშიაფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისფინანსთადაეკონომიკისსამინისტროს საქმიანობისსფეროსგანეკუთვნებააფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისსაფინანსოსის ტემისმართვა, საფინანსო-საბიუჯეტოპოლიტიკისრეგულირებისღონისძიებათაგანხორციელება, კომპეტენციისფარგლებშიეკონომიკურიპოლიტიკისშემუშავებადადარგობრივიეკონომი კისსფეროებისგანვითარებისხელშეწყობა, ქონების განკარგვა და საწარმოთა მართვა.

### *1.1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2023 წლის 9 თვეში შეადგინა სულ 24 703,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 378,8ათასი ლარი) 121,2%-ია.

**ცხრილი** 12023 წლის 9 თვეში აფხაზეთის ა/რ რესპუვლიკური ბიუჟჯტის ფაქტიური შემოსულობები გადასახადების სახეების მიხედვით

| დასახელება | გეგმა. ათ.ლარი | ფაქტი ათ.ლარი | +/-ათ.ლარი | % |
|---|---|---|---|---|
| **სულ** | **20 378,8** | **24 703,7** | **4 324,9** | **121,2** |
| გადასახადები | 9 461,6 | 10 170,4 | 708,8 | 107,5 |
| გრანტები | 10 436,9 | 14 000,0 | 3 563,0 | 134,1 |
| სხვა შემოსავლები | 480,2 | 533,3 | 53,1 | 111,1 |

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 56,7 და 41,2 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 97,9 პროცენტია. დანარჩენ შემოსავლებზე მოდის 2,1 პროცენტი.

**დიაგრამა 1**რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2023/9 თვეში




**დიაგრამა 2**რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2023/9 თვე-2022/9 თვე




2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

- შემოსულობები გაიზარდა 7 175,5 ათასი ლარით;
- საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა1 322,8 ათასი ლარით;
- ტრანსფერის მოცულობა გაიზარდა 5 651,1 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები გაიზარდა 201,6 ათასი ლარით.

### 2023 წლის 9 თვეში ეკონომიკის დარგში განხორციელებული საქმიანობები

სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სოციალურ-ეკონომიკური პროექტების შემუშავების, ბენეფიციარების კონსულტირებისა და მათთვის საგრანტო წინადადებების მომზადების, სტატისტიკური ინფორმაციების დამუშავების, სხვადასხვა ანალიტიკური მასალების მომზადებისა და სხვა მიმართულებით. საქართველოს რეგიონებში განსახლებულ დევნილებს მუდმივად მიეწოდებოდათ ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში:

**ბიზნესსექტორისხელშეწყობა**

სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა საქმიანობას ეწეოდა სოციალურ-ეკონომიკური პროექტებისა და პროგრამების შემუშავების, საგრანტო პროექტების განხორციელების, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიების, ბენეფიციარებისთვის საგრანტო რესურსებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების, ბენეფიციარების კონსულტირებისა და მათთვის საგრანტო წინადადებების მომზადების, სტატისტიკური ინფორმაციების დამუშავების, სხვადასხვა ანალიტიკური მასალების მომზადების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი აქტივობების განხორციელებისა და სხვა მიმართულებით.

სტარტაპებისა და არსებული ბიზნესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქმიანობა ხორციელდებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის ფარგლებში:

**საგრანტო შესაძლებლობების მოძიება** - ყოველდღიურ რეჟიმში, სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით, მიმდინარეობდა ახალი საგრანტო და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობების მოძიება იგპ-ებისთვის, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ახალი ბიზნესის ან/და არსებული ბიზნესების განვითარებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯამში მოძიებული იყო 12 საგრანტო პროგრამა:

| | პროგრამები | საგრანტო პროგრამის განმცხადებელი |
|---|---|---|
| 1 | ტურიზმის განვითარება | აწარმოე საქართველოში |
| 2 | საპილოტე პროგრამა ქალებისათვის | |
| 3 | საპილოტერეგიონებისინტეგრირებულიგანვითარებისპროგრამა | სოფლისმეურნეობისგანვითარებისსააგენტო |
| 4 | ჩაისპლანტაციისრეაბილიტაციისპროგრამა | |
| 5 | ბიოწარმოებისხელშეწყობისპროგრამა; | |
| 6 | ენერგოეფექტურიღუმელებისთანადაფინანსებისპროგრამა | |
| 7 | მოსავლისამღებისასოფლო-სამეურნოტექნიკისთანადაფინანსებისპროგრამა | |
| 8 | მაღალმთიანდასახლებებშისამეწარმეოსაქმიანობისხელშეწყობისპროგრამა | |
| 9 | საპილოტეპროგრამაქალებისთვის | |
| 10 | დევნილთადაეკომიგრანთათვითდასაქმების პროგრამა | სსიპ ,,დევნილთასაარსებოწყაროებითუზრუნველყოფისსააგენტო“ |
| 11 | ქალები მომავლისათვის | USAID-ის მიერ გამოცხადებული პროგრამა ,,ძლიერი სოფელი“ კახეთისგანვითარებისფონდი |
| 12 | ინვესტირებაუვნებელდახარისხიანმესაქონლეობაში | Land O’lakes Venture 37 |

- **საგრანტო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება** -მოძიებული საგრანტო პროგრამის შესახებ ინფორმაცია სხვადასხა საშუალებით, მათ შორის,

პირადი კონტაქტებით, ელექტრონული ფოსტით, დევნილთა წარმომადგენლობის მეშვეობით, მიეწოდებოდა მიზნობრივ ბენეფიციარებს;

- **საგრანტო შესაძლებლობით დაინტერესება და შესაბამისი დახმარების გაწევა -** გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე და დამოუკიდებლად იგპ-ების გამოხატული ინტერესების შესაბამისად, ჯამში 46 ბენეფიციარს გაეწიათ შესაბამისი დახმარება სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის:
  - სააპლიკაციო ფორმის შევსებაში - 32 დევნილს;
  - საგრანტო პროგრამის განმახორციელებელთან კავშირის დამყარებაში -28 დევნილს;
  - საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტაციის მოძიებაში - 3 დევნილს;
  - პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგებაში - 25 დევნილს;
  - დანადგარების შერჩევაში - 3 დევნილს;
  - შემსწავლელი კურსების მოძიებაში - 2 დევნილს;
  - ტექნოლოგიური პროცესების გამართულ შედგენაში - 2 დევნილს.

  შედეგად, 34 ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა საგრანტო პროგრამაში, საიდანაც დაკმაყოფილდა 14 განაცხადი, უარი ეთქვა 10 აპლიკანტს, ხოლო განხილვის პროცესშია 10 აპლიკანტი.
- **კონსულტაციებისა და ტექნიკური დახმარების გაწევა საწარმოო პროცესში იგპ-ებისთვის და მათი ბიზნესებისთვის**
- **ბიზნესის ხელშემწყობი საგრანტო პროექტის განხორციელება** -სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდაფინანსური საგნატრო კონკურსებში მონაწილება და შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიება. აღნიშნულის ფარგლებში, 2022 წლის 21 ივნისს აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს შორის გაფორმდა მცირე საგრანტო ხელშეკრულება (NSAMR/2022/SG/01/GE), რომელიც ეხება პროექტის ,,შეფუთვის სერვისი საოჯახო წარმოების განვითარებისათვის“ განხორციელებას.

  *ბიუჯეტი* - 14 000 ევრო (მ.შ. 10 000 ევრო - სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, 4 000 ევრო - აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წილობრივი მონაწილეობა);

  *მიზანი* - ქართლში, კახეთსა და სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან იგპ-ების საოჯახო მეურნეობების განვითარება და დასაქმების ზრდა, მცირე და საშუალო წარმოებების ხელშეწყობა და მათი შემოსავლების მატება. აგრეთვე, მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლება ხილის ჩირისა და ბაზარზე მოთხოვნადი სხვა პროდუქტების წარმოების საკითხებში. აღნიშნული, ამავდროულად, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

  *შედეგები:*

  სლოვაკეთისრესპუბლიკისსაელჩოდან 2022 წლის 6 ივლისსმიღებულიქნაპირველიტრანში 21 343 ლარისოდენობით,პროექტის ,,შეფუთვისსერვისისაოჯახოწარმოებისგანვითარებისათვის“ განსახორციელებლად, რისშემდგომაცდაიწყომისიწინამოსამზადებელისამუშაოები:

- პირველი 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საინფორამციო კამპანია და შეხვედრები (მათ შორის ონლაინ) დაინტერესებულ მხარეებთან;
- პარტნიორი ორგანიზაცია სსიპ – ეკონომიკური პროგრამების სააგენტო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში, ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლების მეშვეობით, აწარმოებდა შეხვედრებს პოტენციურ ბენეფიციარებთან სერვისის მიწოდების დეტალების დაზუსტების მიზნით;
- განხორციელდა იმ იგპ-ების კონტაქტების მოძიება, რომლებიც აწარმოებენ ჩირს ან სხვა სახის პროდუქციას და საჭიროებენ შეფუთვა/დაფასოებას;
- სისტემატურად ხორციელდებოდა პოტენციურ ბენეფიციართადეტალური ინფორმირება პროექტით გათვალისწინებულ აქტივობათა თაობაზე და იმ სამომავლო საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას ხელი შეუწყონ ახალი იდეების გენერირებაში, ახალი საქმეების წამოწყებასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში;
- პროექტისათვის შესასყიდ ძირითად საშუალებათა შეძენის მიზნით, მიმდინარეობდა კომუნიკაცია სხვადასხვა მწარმოებელ და სავაჭრო ორგანიზაციებთან.
- მიმდინარე ეტაპზე შესყიდვების ყველა პროცედურა დასრულებულია კანონმდებლობის პროცედურების დაცვით, პროექტი განსახორციელებლად გადაეცა სსიპ – ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს. ამ დრომდე დაახლოებით 50-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა შეფუთვის მობილური მომსახურებით და შესაბამისი კონსულტაციით.

## 3.1. სტატისტიკა და ანალიტიკა

საანგარიშო პერიოდში მომზადდა:

- სტატისტიკური ბიულეტენები (2022 წლის წლიური და IV კვარტლის, 2023 წლის I–II კვარტალი), სადაც აისახა აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისსაბიუჯეტოორგანიზაციების დაბიზნესსექტორის (სახელმწიფოწილითდაფუძნებულისაწარმოები) ძირითადი სტატისტიკური მონაცემები;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების (შპს) 2022 წლის IV კვარტლის და 2023 წლის I და II კვარტლის სტატისტიკური ანგარიშები;
- ანგარიშებიაფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისსამთავრობოსტრუქტურებისმიერ2022 წელს და 2023 წლის I კვარტალში და 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მიღებულდადამუშავებულიქნააფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისსაბიუჯეტოორგანიზაციებისადაბიზნესსაწარმოებისანგარიშებიშრომისშესახებდა, შესაბამისად, მომზადდასტატისტიკური ანგარიშები (2022 წლის წლიური და IV კვარტლის, 2023 წლის I–II კვარტალი), რომლებიც წარედგინა სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს.

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ანალიზის სამმართველოს მიერ სისტემატურად მზადდებოდა დე-ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზი და დაიჯესტი. ინფორმაციის მოსაძიებლად გამოყენებული წყაროები: დე-ფაქტო აფხაზეთის სამთავრობო

ინსტიტუტები, აფხაზეთის ტელევიზია (აბაზა-ტვ.) და მასმედია. მოძიებული მასალები ითარგმნება ქართულად და ინგლისურად.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა მასალები შემდეგ თემაზე:

- დე-ფაქტო აფხაზეთის 2022 წლის ბიუჯეტის ანალიზი, მიმდინარე წლის ბიუჯეტის მონაცემთა შეგროვება;
- დე-ფაქტო აფხაზეთის 2022 წლის და მიმდინარე წლის საქონელბრუნვის მაჩვენებლები;
- ინფორმაცია დე-ფაქტო აფხაზეთის საბაჟო გადასახდელების განაკვეთების შესახებ;
- დე-ფაქტო აფხაზეთის ტურიზმის განვითარებისა და პრობლემების ანალიზი.

## 3.2. გარემოსდაცვითი მიმართულება

სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული გარემოსდაცვითი მიმართულებით გამართულ ღონისძიებებში, მათ შორის:

- განხორციელდა შეხვედრები შემდეგ საკითხებზე:
  – ლანდშაფტების აღდგენის ვარიანტების, შეფასების კრიტერიუმების, ინდიკატორებისა და საჭირო მონაცემების განსაზღვრის შესახებ (ორგანიზატორი - კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი);
  – კლიმატის ცვლილების ზემოქმედება, ადაპტაცია და დაუცველობა – გაკვეთილები ცენტრალური აზიისთვის (ორგანიზატორი - CAN EECCA);
  – საავტომობილო გზების ქსელის გაუმჯობესების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონიმიკურ განვითარებაში (ორგანიზატორი - სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო);
  – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო პროგრამის განახლებაზე;
  – საჯარო კონსულტაცია საქართველოს კლიმატის ცვლილების კანონის „მწვანე წიგნის“შესახებ;
  – წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დანერგვის მიმოხილვაში.
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა:
  – მოსაზრებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ „2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების" პროექტთან დაკავშირებით;
  – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და ეკონომიკური დარგებში არსებული მდგომარეობის შესახებ წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

სამინისტროს თანამშრომლებმა კონსულტაცია გაუწიეს დევნილ ახალგაზრდებს გარემოსდაცვითი იდეების წარდგენისთვის შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებულ შესარჩევ კონკურსში „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ მოსაპოვებლად.

სამინისტროს გარემოს დაცვის სპეციალისტები მონაწილეობდნენ კლიმატის სამოქმედო გეგმის ტექნიკურ სამუშაო ჯგუფებში.

## 1.2. სამინისტროსგამგებლობაშიშემავალისსიპ-ებისდაა(ა)იპ-ისმიერ2023წლის 9 თვეში განხორციელებულიაქტივობები

### 1.2.1. სსიპ აფხაზეთის ქონებისგანკარგვისადასაწარმოთამართვისსააგენტო

სსიპ აფხაზეთისქონებისგანკარგვისადასაწარმოთამართვისსააგენტოსაანგარიშოპერიოდშიგანკარგავდააფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისკუთვნილუძრავდამოძრავქონებას.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს, აფხაზეთის ა/რ სხვადასხვა უწყებების მიერ, *გადმოეცა* ჯამურად 76295,9 ლარის მოძრავი ქონება (2 ავტოსატრანსპორტო საშუალება ჯამური ღირებულებით 42116 ლარი), ხოლო, სააგენტოს მიერ, სხვადასხვა უწყებებს *გადაეცა* ჯამურად 49162,5 ლარის მოძრავი ქონება (მათ შორის 12 528,6 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალება).

სააგენტოს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით აუქციონზე გატანილიქნასააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონება, კერძოდ

– ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაწულუკუში 21-ე ქუჩა, №10-ში მდებარე 3210 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ში განაშენიანების ფართი 517,54 კვ. მ (შიდა ფართი 1374,5 კვ. მ, მ.შ. I სართული 468,5 კვ. მ, II სართული 455,1 კვ. მ, III სართული 450,9 კვ. მ), №2 - განაშენიანების ფართი 3,6 კვ.მ (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.10.44.406) - სარგებლობაში იჯარაზე გადასაცემი ქონება;

– სსიპ აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოზე აფხაზეთის მთავრობის აპარატისგან შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემული სალიფტე მეურნეობის მეორადი ნაწილების კომპლექტის საპრივატიზაციოდ გასხვისება.

2023 წლისიანვარშიდასრულდააფხაზეთისა.რ. მთავრობის 100%-იანიწილობრივიმონაწილეობითდაფუძნებულიკერძოსამართლისიურიდიულიპირების შპს „აფხაზეთიდანიგპ-თაზუგდიდისპოლიკლინიკი“-ს, შპს „აფხაზეთიდანიგპ-თაჯვარისამბულატორიი“-სადაშპს „აფხაზეთიდანიგპ-თახობისპოლიკლინიკი-სრეორგანიზაციისპროცესი (შერწყმა/ მიერთებისფორმით),შედეგადშპს „აფხაზეთიდანიგპ-თაზუგდიდისპოლიკლინიკა“-სშეეცვალასაფირმოსახელწოდება,ეწოდაშპს „სამედიცინოცენტრი „დიომედიაფხაზეთი“ დამიერთებულისამეწარმეოსაზოგადოებებიჩამოყალიბდნენშპსსამედიცინოცენტრი „დიომედიაფხაზეთი“-სფილიალებად:

- შპს „აფხაზეთიდანიგპ-თაჯვარისამბულატორია“ - შპს „სამედიცინოცენტრი „დიომედი- აფხაზეთი“ ჯვარისფილიალად;
- შპს „აფხაზეთიდანიგპ-თახობისპოლიკლინიკა“-შპს „სამედიცინოცენტრი „დიომედი -აფხაზეთი “ ხობისფილიალად.
- **ცხრილი N 1**შპს-ების2023 წლის 9 თვის ფინანსური შედეგები

| შემოსავალი (ლარი) | დანახარჯი (ლარი) | მოგება (ლარი) |
|---|---|---|
| **2 157 601** | **2 098 642** | **100 220** |

სააგენტოში ხორციელდება 2 მიზნობრივი პროგრამა:

- **„სსიპ–აფხაზეთისქონებისგანკარგვისადასაწარმოთამართვისსააგენტოსმართვაშიარსებულიკერძოსამართლისიურიდიულიპირების (შპს) მარკეტინგულიმომსახურება“**.პოლიკლინიკებისცნობადობისზრდისთვისდაიგეგმასამედიცინოაქტივობებისციკლი#თქვენიჯანრმთელობისთვის. უფასოსამედიცინოაქტივობებისციკლის #თქვენიჯანმრთელობისთვისფარგლებშიგაიმართა 9 სამედიცინოაქციაპოლიკლინიკებში, სადაცჯამში 1500-ზემეტიაფხაზეთიდანდევნილ ბენეფიციარებსგაეწიათუფასოსამედიცინომომსახურება.

სააგენტოს მიერ 9 თვის განმავლობაში ჩატარდა სამედიცინო აქციები:

- 28 იანვარი– ქ.წყალტუბო,სამედიცინოცენტრი „დიომედი+“;
- 4 თებერვალი– ქ. თბილისი,სამედიცინოცენტრი „დიომედი“ გლდანისფილიალი;
- 11 მარტი– ქ. ქუთაისი,სამედიცინოცენტრი „დიომედი +“;
- 1 აპრილი– ქ. თბილისი,სამედიცინოცენტრი “დიომედი“ ვარკეთილისფილიალი;
- 11 აპრილი– ქ. ზუგდიდი,სამედიცინოცენტრი „დიომედიაფხაზეთი“;
- 29 აპრილი– ქ. ფოთი,სამედიცინოცენტრი „დიომედი +“;
- 30 აპრილი– ქ. ფოთი,სამედიცინოცენტრი „დიომედი +“;
- 13 მაისი– ქ. თბილისი,სამედიცინოცენტრი „დიომედი“ წყნეთისფილიალი;
- 18 ივლისი– ქ. თბილისი,სამედიცინოცენტრი „დიომედი“ საბურთალოსფილიალი.

მომზადდა და სატელევიზიო ეთერში გავიდასარეკლამოკლიპიჩატარებულიაქციებისშესახებ. 9თვისგანმავლობაშიშეიქმნა 28 პოსტერი, პოლიკლინიკებშიდაგეგმილიაქტივობებისადასამედიცინოსერვისებისთაობაზე.

შემუშავდაკამპანია #გაიცანითთქვენიექიმი. კამპანიამიზნადისახავსსამედიცინოკოლექტივისმოტივაციასადათანამშრომლებისსაზოგადოებისთვისგაცნობას, მოიცავსექიმებისფოტოსურათებისადაბიოგრაფიისგაზიარებას აუდიტორიისთვის. კამპანიასსოციალურქსელშიდადებითიგამოხმაურებამოჰყვა, ამეტაპისთვისგანთავსებულია 12 ექიმისპოსტერი,ხოლომათინახვადობა 150,000-სგადასცდა.

- **„ოკუპირებულაფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისტერიტორიაზეგანთავსებულისახელმწიფოუძრავიქონებისსაკადასტროაღწერა“**. პროგრამის ფარგლებშიმოძიებულიქნააფხაზეთისოკუპირებულტერიტორიაზეგანთავსებული 58 სახელმწიფოუძრავქონებაზეპირველადისარეგისტრაციოდოკუმენტაცია (ესპლიკაცია, ორთო, ფოტოდასხვ.). პროგრამისფარგლებში, ასევემიმდინარეობსმოძიებეულისარეგისტრაციოდუკუმენტაციების ArcGis-ისპროგრამითდამუშავებადაშესაბამისიწესითთითოეულუძრავქონებაზესაკადასტროაზომვითინახაზებისმომზადება. ამეტაპისთვისუკვეგანხორციელდა 42 ობიექტისდამუშავება ArcGis პროგრამაშიშესაბამისიწესისსრულიდაცვით(მომზადებულიასაკადასტროგეგმითი/აზომვითინახაზები).დამუშავებისპროცესშიააფხაზეთისოკუპირებულტერიტორიაზეგანთავსებულისტრატეგიულიობიექტები, კერძოდ: სოხუმისაეროპორტიდაბიჭვინთისსამთავრობოაგარაკი.

**სსიპ ეკონომიკური პროგრამების სააგენტო**

სააგენტოსსაქმიანობისძირითად მიმართულებასწარმოადგენსაფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების ეკონომიკური, მათ შორის აგრარული საქმიანობის წამოწყებისა და/ან გაძლიერების ხელშეწყობა როგორც მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისა და თანადაფინანსების გზით, ასევე გარკვეული ეკონომიკური სერვისების მიწოდების მეშვეობით, ამასთან ერთად, აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფის ჩართულობისა და ინტეგტრირების ხელშეწყობა ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ პროცესებში. სააგენტო ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად თავის საქმიანობას ახორციელებს მიზნობრივი პროგრამების (ქვეპროგრამების) მეშვეობით.

**<u>ეკონომიკური სერვისების მიწოდება</u>**

- დასაქმებისხელშეწყობა
- ეკონომიკურისაქმიანობისმომსახურეობა
- ეკონომიკურიმომსახურეობააფხაზეთისოკუპირებულტერიტორიაზე
- ინფრასტრუქტურულიპროექტებისმომზადებისმომსახურეობა

**ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა**

- დევნილთასამეწარმეოსაქმიანობისგაძლიერება
- სასოფლო-სამეურნეოდაენდემურიკულტურებისწარმოებისმხარდაჭერა

❖ **<u>„დასაქმების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა</u>**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 71 309 ლარი, ფაქტიური შესრულება - 70 008 ლარი (98%).

**მიზანი** -აფხაზეთიდან დევნილების მიერ შესაბამისი მიმართულებით საქმიანობის წამოწყებასა/სტარტაპსა და განვითარებაში მხარდაჭერა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აქტივებისა და პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების უზრუნველყოფის გზით (2500 ლარი);

**შედეგი** -აფხაზეთიდან დევნილი 27 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა მოთხოვნილი აქტივებით (სახელობო და სამშენებლო ინვენტარი; მექანიკური აგრეგატები, მათ შორის მოტობლოკები; საკერავი ნივთები, მათ შორის საკერავი მანქანები; სილამაზის და ესტეტიკური სალონებისათვის განკუთვნილი ატრიბუტები/აქსესუარები და სხვა პროფესიულ-ტექნიკური ინვენტარი). 4 ბენეფიციარი დამატებით უზრუნველყოფილ იქნა პროფესიონალ-ტექნიკური განათლებით შესაბამის დაწესებულებებში/კოლეჯებში;

❖ **<u>„ეკონომიკური საქმიანობის მომსახურეობა“</u>**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 43 531 ლარი, ფაქტიური შესრულება - 43 400 ლარი (99,7%).

**მიზანი-** აფხაზეთიდან იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები მოსახლეობისთვის ეკონომიკური მომსახურების გაწევა და შესაბამისი სერვისების მიწოდება რუხის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის „აფხაზეთი“ ჩართულობით.კერძოდ, აფხაზეთიდან იგპ-ებს გაეწია კონსულტაცია/დახმარება შემდეგი მიმართულებებით:

- აწარმოე საქართველოს ,,მცირე და მიკრო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის’’ ფარგლებში განაცხადის შევსება/წარდგენა;
- ბიზნეს-პროექტების შედგენა და შესაძლო დაფინანსების წყაროების მოძიება;
- მიწის, ფოთლისა და წყლის შემადგენლობის მონაცემებისა და პარამეტრების გამოვლენა;

– დაფასოება-შეფუთვის მომსახურეობის გაწევა და სხვა.

**შედეგი** - რუხის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში აფხაზეთიდან 300-მდე იგპ-ს და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს გაეწია კონსულტაცია/დახმარება ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში ჩასართავად ბიზნეს-პროექტების შედგენასა და შესაძლო დაფინანსების წყაროების მოძიებაში, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური მომსახურეობის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, რუხის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა დაიწყო აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სლოვაკეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოდან SlovakAid მოპოვებული და მიღებული გრანტის პრაქტიკული ათვისება, რაც გულისხმობს აფხაზეთიდან იგპებ-ის სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერების მიზნით მათთვის შეფუთვა-დაფასოების მობილური სერვისის ჩამოყალიბებას სასოფლო-სამეურნო პროდუქციის ფართოასორტიმენტისათვის. ამ ეტაპზე ხსენებული მიმართულებით მომსახურეობა უკვე გაეწია 35-დე დევნილ ოჯახს;

❖ **„ეკონომიკური მომსახურეობა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე“**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 96 600 ლარი, ფაქტიური შესრულება - 96 309 ლარი (99,7%).

**მიზანი** -აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრემი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება და მათი კეთილდღეობის ზრდა. ქვეპროგრამა ფაქტობრივად შედგება ორი ნაწილისაგან - ვეტერინარული მომსახურეობის გაწევა გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე; აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

**შედეგი**

– *ვეტერინარული მომსახურეობისა და სერვისების მიწოდების ჭრილში*

სააგენტოს 8 ვეტსპეციალისტის მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის საფუძველზე, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, შესყიდულ იქნა 20 301 ლარის ვეტმედიკამენტები გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზეშესაბამისი ვეტმომსახურეობას გაწევის მიზნით;

– *მცენარეთა დაცვის (აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა) კუთხით*

შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს გადმოეცა 10 000 ლიტრი ქიმიური პრეპარატი „ბიფენტრინი“გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესაბამისი ღონისძიებების („ფაროსანას“ საწინააღმდეგოდ სათანადო ღონისძიებებების უზრუნველყოფა, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისა და მიტოვებული შენობა-ნაგებობების ქიმიური დამუშავების გზით) გატარების მიზნით. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს 11 კოორდინატორის მეშვეობით, მათზე დაკისრებული გალის რაიონის 11 ზონის მიხედვით (სადაც გაერთიანებულია 25 ადმინისტრაციული ერთეული, რომლებიც ჯამურად მოიცავს 43 სოფელს) მოხდა ბიფენტრინის გადატანა და დაწყობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რასთანაც დაკავშირებით ჩატარებულ იქნა შესაბამისი მონიტორინგი. მე-3 კვარტალში დაიწყო მისი პრაქტიკული ათვისება მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების ქიმიური დამუშავების ჭრილში. ჩატარებულია პირველადი მონიტორინგი.

❖ **„ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების მომსახურეობა“**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 24 750 ლარი, ფაქტიური შესრულება - 24 750 ლარი (100.0%).

**მიზანი**-მიზნობრივი ჯგუფის საცხოვრებელი, სამუშაო და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ობიექტების დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიხცხვის შედგენა

**შედეგი**-43ობიექტისათვის მომზადებულ იქნა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული შესაბამისი დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია(6 312 ლარი).

- **პროგრამა „ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა“**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 152 000 ლარი, ფაქტიური შესრულება - 150 057 ლარი (99%).

ქვეპროგრამები:

❖ **„დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერება“**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 106 260 ლარი, ფაქტიური შესრულება - 106 122 ლარი (99 %).

**მიზანი**-აფხაზეთიდან დევნილთა უკვე არსებული სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერება მათი საქმიანი წინადადებებისა და ბიზნეს-პროექტების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გზით (არაუმეტეს 3 მატერიალურ-ტექნიკური აქტივი, საერთო/ჯამური ღირებულებით მაქსიმუმ 7 000 ლარი).

**შედეგი**- აფხაზეთიდან დევნილ 16 ბენეფიციარს, სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერების მიზნით, გაეწია მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა შესაბამისი აქტივებით (მექანიკური აგრეგატები, მათ შორის მოტობლოკები; სხვადასხვა სახის დანადგარები და მოწყობილობები);

❖ **„სასოფლო-სამეურნეო და ენდემური კულტურების წარმოების მხარდაჭერა“**

9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი - 45 740 ლარი, ფაქტიური შესრულება - 43 936 ლარი (96,1%).

**მიზანი**

– საკომისიო და საკონკურსო საფუძველზე ბენეფიციარების უზრუნველყოფა მოთხოვნადი მრავალწლიანი ნერგებით;

– ბენეფიციარების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩართულობასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით 2022 წელს გაფორმდა შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოსთან, სადაც გაწერილ იქნა თანადაფინანსების სქემა და მექანიზმი (თანადაფინანსების მაქსიმალური ზღვრული თანხა შეადგენს 2500 ლარს). კერძოდ, „დანერგე მომავალი“ ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის საერთო ღირებულების 70%-ს ფარავს სახელმწიფო, 20%-ს - სააგენტო (მაგრამ არაუმეტეს 2500 ლარისა), 10%-ს - თავად ბენეფიციარი. რაც შეეხება ე.წ. გამყოფ ხაზთან მცხოვრებ ბენეფიციარებს, მათი თანადაფინანსების სქემა შემდეგნაირია: სახელმწიფო აფინანსებს ბენეფიციარის პროექტის საერთო ღირებულების 80%-ს, სააგენტო - 10%-ს (მაგრამ, არაუმეტეს 1500 ლარისა), თავად ბენეფიციარი 10%-ს.

**შედეგი**

– გამარჯვებულ ბენეფიციართა გამოვლენა და მათი უზრუნველყოფა ნერგებით განხორციელდება მ.წ. მე-4 კვარტალში;

– სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ თანადაფინანსება გაეწია აფხაზეთიდან დევნილ ერთ ბენეფიციარს (სააგენტოს მხრიდან დაფინანსდა 2500 ლარით);
– დასრულდა 6 მინი სასათბურე კონსტრუქციის ინსტალაცია სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კრწანისის ტერიტორიაზე. 3 სათბური უკვე დაიტვირთა ბზის, ტუიასა და კიპაროსის ნერგებით (დანარჩენი 3 კონსტრუქცია დაიტვირთება მე-4 კვარტალში). ამასთან, საანგარიშო პერიოდში აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეებისათვის ჩატარდა შესაბამისი საგანმანათლებო ღონისძიება აღნიშნული კულტურების წარმოების სპეციფიკისა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოსდებულებისმიხედვითდააფხაზეთისა/რფინანსთადაეკონომიკისსამინისტროს თანერთობლივადგატარებულისამუშოებებისშედეგად,მე-3 კვარტალშიშემუშავდადამე-4 კვარტალშითურქეთისთანამშრომლობისადაკოორდინაციისსააგენტოს/TIKA-სმიერსრულადდაფინანსდებაპროექტი, რომლისმიხედვით, TIKA კომპლექსურადუზრუნველყოფს 3 საყვავილე–სასათბურემეურნეობისმოწყობას 3 აფხაზეთიდანდევნილიქალბატონისათვის (ორი - წალინჯიხისრაიონში; ერთი - ზუგდიდისრაიონში), რომლისექსპლუატაციაშიასევეჩართულიიქნებაადგილობრივიაფხაზეთიდანდევნილიმოსახლეობა. ზემოაღნიშნულისაყვავილე–სასათბურემეურნეობებისმოწყობასთანდაკავშირებულიშესაბამისისასათბურეკონსტრუქციებისმონტაჟიდამათისათანადოდატვირთვაშესაბამისისაყვავილენერგებითიგეგმებამე-4 კვარტალში.

## <u>1.2.3. სსიპაფხაზეთიდანიძულებითგადაადგილებულპირთასტაჟირების, კვალიფიკაციისამაღლებისადადასაქმებისხელშეწყობისცენტრიბიზნესინკუბატორი</u>

ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა აფხაზეთიდან იგპ-თადასაქმება, სტაჟირება/კვალიფიკაციის ამაღლება, ინოვაციური პროექტებისშემუშავება/განხორციელება, სამეწარმეო სუბიექტებთან, საერთაშორისო დაადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და ადგილობრივითვითმმართველობის დაწესებულებებთან თანამშრომლობა. ***დასაქმებულთა*** რაოდენობა შეადგენდა 15 პირს.

ბიზნესინკუბატორისმხარდაჭერით (აპლიკანტების, დონორების მოძიება, დახმარება პროექტების მომზადებაში):

2023 წლის 9 თვეში დაფინანსდა 9 ერთობლივი პროექტი (პროექტების ჯამური თანხა 44 749 ლარი):

- **USAID-ის პროექტის ფარგლებში,** დაფინანსდა7 ბიზნესპროექტი(17 მონაწილიდან 9 აფხაზი და 8 ქართველი):

| | ლარი |
|---|---|
| „სამურზაყან ტურის“ კოტეჯების მშენებლობა | 1 276 |

| | |
|---|---|
| დეკორატიული აგურის წარმოება | 3 900 |
| სამედიცინო სათვალეების რეალიზაცია აფხაზეთში | 3 500 |
| სამხატვრო სალონი | 771 |
| საოჯახო ფერმერული მეურნეობისათვის მიწათმოქმედი კულტივატორი | 3 186 |
| საოჯახო ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად (ბოსტნეულის მოყვანა) მულჩის (პოლიეთილენის ფირი) | 1 836 |
| ხის ყუთების დასამზადებლად ლენტურა ხერხის გადაცემა | 8 280 |
| სულ | **22 749** |

- მშვიდობის ფონდის მიერ დაფინანსდა მეფრინველეობის 2 ბიზნესპროექტი ჯამური თანხით 22 000 ლარი(2 აფხაზი და 2 ქართველი მონაწილე) -15 000 ლარი და 7 000 ლარი.

ბიზნესინკუბატორში 2018-2022წ.წ.ხორციელდებოდასსიპშოთარუსთაველისეროვნულისამეცნიეროფონდისმიერდა ფინანსებული 4-წლიანისაგრანტოპროექტი, რომლისმიზანს წარმოადგენდაავტომატურიმართვისმექანიზმითაღჭურვილი, ენერგოდამზოგიდაუსაფრთხო, მასობრივიმოხმარებისქარძრავისწარმოება. პროექტისბიუჯეტიშეადგენს 560 000 ლარს. დამზადდა ერთმანეთისაგან ფლუგერის ვერტიკალური სტაბილიზატორების შეთანწყობით განსხვავებული ქარძრავის ორი საცდელი ნიმუში. №AR-18-2653 საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ადგილზე გაცნობისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შედგა სამუშაო შეხვედრა სამინისტროს თანამშრომლებსა და საგრანტო პროგრამის წევრებს შორის. განხორციელდა პროგრამის ფარგლებში შექმნილი საცდელი ნიმუშების, კონსტრუქციების ადგილზე დათვალიერება. ამასთან, რუსთაველის ფონდის მიერ პროგრამის განსახორციელებლად დამატებით გამოყოფილ ვადაში (2023 წლის ბოლომდე)უზრუნველყოფილ იქნა ქარძრავის საწარმოო ხაზის განსახორციელებლად საჭირო 1 (ცალი)3D (სამგანზომილებიანი) პრინტერის შესყიდვასთან დაკავშირებით, ტენდერის გამოცხადება.

სახელმწიფოს ახალი მიდგომებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ-სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსგან მიღებული ახალი შეთანხმების საფუძველზე, სსიპ „ბიზნეს ინკუბატორს", 2023 წლის 18 სექტემბრის #№ 5/50769 წერილით მიეცა უფლება, იჯარით 5 წლის ვადით გასცეს მის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორია. შესაბამისად, ბიზნეს-ინკუბატორი IV კვრტალში გეგმავს აუქციონის გამოცხადებას სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიის იჯარით გაცემის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „ბიზნეს ინკუბატორის"2023 წლის 23 ივნისის მიმართვის საფუძველზე, შპს ,,აუდიტ-სერვის-ცენტრის" მიერ უზრუნველყოფილ იქნა ბიზნეს-ინკუბატორის, ს/კ 212924308, სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №1, საკადასტრო კოდი – 03.05.28.583; ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №1 საკადასტრო კოდი – 03.05.28.191 ) 1 კვ.მეტრის წლიური საიჯარო თანხის განსაზღვრა და, შესაბამისად, ახალი საექსპერტო დასკვნის მომზადება.

მიმდინარე წელს შედგა სამუშაო შეხვედრა სსიპ - ,,ბიზნეს-ინკუბატორის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის. დათვალიერებულ იქნა საწარმოო ფართები. მოსმენილ იქნა მეიჯარეების/მეწარმეების

პრობლემები, მათი საქმიანობის შემაფერხებელი გარემოებები. გარდა ზემოაღნიშნულისა, განხილულ იქნა ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ დებულებით გათვალისწინებული ამოცანები, მათი შესრულების აუცილებლობა.

მუდმივად ხორციელდებოდა როგორც იჯარით გაცემული ფართების, ასევე სასათბურე კონსტრუქციების მოიჯარეებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგი. იმ მოიჯარეებთან, რომლებსაც დაუგროვდათ დავალიანება, მიმდინარეობს მუშაობა დავალიანებების ამოღების მიმართულებით კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

განხორციელდა სასათბურე კონსტრუქციების ინვენტარიზაცია, რომლის შედეგებიც მე-4 კვარტლის ანგარიშში აისახება.

2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 13 მეწარმესთან დადებულ იქნა 17 ხელშეკრულება. გამოცხადდა აუქციონი (შენობა-ნაგებობა) და გამოვლენილ გამარჯვებულებზე გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულებების.

**ცხრილი N 2**2023 წლის 9 თვის მონაცემები

| 2023 წელი | მომუშავეთა რაოდენობა | იჯარის შემოსავალი ლარი | სახელფასო ფონდი საშტატო განრიგით, ლარი | სახელმწიფო ბიუჯეტში, საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილი |
|---|---|---|---|---|
| I კვარტალი | 8 | 15773 | 16200 | 2192ლარი<br>საპენსიოფონდში-180ლარი |
| IIკვარტალი | 7 | 19047 | 9948 | 8442 ლარი<br>მ.შ.<br>– ქონების გადასახადი 6751 ლარი<br>– საშემოსავლო გადასახადი - 1691 ლარი |
| IIIკვარტალი | 7 | 19720 | 19200 | 4149 ლარი |

## 1.2.4. აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისსავაჭრო-სამრეწველოპალატა

პალატისსაქმიანობისსფეროსწარმოადგენდამეწარმესუბიექტებისსაქმიანობისმხარდ აჭერითბიზნესისგანვითარება, მცირედასაშუალობიზნესისგანვითარებისხელშეწყობა. ამჟამად, პალატას ჰყავს 55 წევრი აფხაზეთიდან დევნილი მცირე და საშუალო მეწარმე. მუდმივ განახლებად რეჟიმშია მეწარმეთა საქმიანობის განვითარებასა და პოპულარიზაციას მიზნით შექმნილი ბიზნეს კატალოგი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს ინფორმაციას 84 დევნილი მეწარმის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში პალატის მხარდაჭერით:

- წინასაახალწლო საგამოფენო ბაზრობაში „საახალწლო სოფლის“ ბაზრობაზე, ორბელიანის მოედანზეაფხაზეთიდან დევნილმა 28 მეწარმემ წარმოადგინა თავისი წარმოების პროდუქცია;
- სავაჭრო ცენტრთან ,,თბილისი მოლი’’ თანამშრომლობით ჩატარდა აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი 20 მეწარმე, რომლებმაც თბილისი მოლში მოსულ სტუმრებს შესთავაზეს მათ მიერ წარმოებული პროდუქცია;

- თბილისის მერიასთან თანამშრომლობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ გამოფენა-გაყიდვაზე მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 10 მცირე მეწარმემ;
- საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით პარლამენტში გაიმართააფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, სადაც აფხაზეთიდან დევნილმა 24-მა მეწარმემ წარმოადგინა საკუთარი პროდუქცია;
- ბათუმის თაფლის ფესტივალზე დევნილმა მეწარმეებმაწარმოადგინეს საკუთარი თაფლისა და მეფუტკრეობის მრავალფეროვანი პროდუქცია.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატამ გამოაცხადა კონკურსი თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან ერთად ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერება-თვითდასაქმება’’ პროექტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პრაქტიკული პროფესიების დაუფლებას შემდგომი დასაქმების შესაძლებლობით. ეს პროექტი ჯერ არ არის დასრულებული, თუმცა პალატა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან ერთად მჭიდროდ თანამშრომლობს.

პალატამ, აფხაზეთიდან დევნილ მეწარმეთა წარმოების ხელშეწყობის მიზნით, გააგზავნა საპროექტო განაცხადი ჩეხეთის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე: AID FOR TRADE. საპროექტო განაცხადი ითვალისწინებს პროდუქციაზე ეტიკეტებისა და შტრიხკოდების დატანას, რაც თავის მხრივ დევნილ მეწარმეებს მისცემს შესაძლებლობას შეიტანონ თავიანთი პროდუქცია ქსელურ მაღაზიებში, გააფართოვონ პროდუქციის გასაღების ბაზარი და გაძლიერდნენ ეკონომიკურად.

როგორც ცნობილია ბევრმა აფხაზეთიდან დევნილმა მეწარმემ მიაღწია შესამჩნევ წარმატებებს თავის საქმიანობაში, თუმცა ჯერ კიდევ არიან მცირე მეწარმეები, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა სახის პროდუქციას და მუდმივად საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. ამ მიზნით პალატა ყოველ წელს ცდილობს დევნილი მეწარმეებისათვის უფრო მეტი შესაძლებლობების შექმნას, რაც გულისხმობს მათი სხვადასხვა სახის გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფას, ფინანსური წყაროების მოძიებაში დახმარებას, პროდუქციის პოპულარიზაციასა და დევნილების კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ეს კი თავის მხრივ აისახება დევნილი ოჯახების კეთილდღეობასა და გახდება მათი მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის გასვლით ვაჭრობებშიჯამში 141 მეწარმემ მიიღო მონაწილეობა. ასეთი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა აძლევს მცირე მეწარმეებს საშუალებას მოახდინონ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

დევნილი მეწარმეებისათვის საჭირო ინფორმაციაზე წვდომის გაზრდის მიზნით პალატა და ესწრებოდა 2023 წლის 15 სექტემბერს გამართულ საქართველო-ჩეხეთის ბიზნეს-ფორუმს.

### 1.2.5. ა(ა)იპსაერთაშორისოინიციატივაგანვითარებისადათანადგომისათვის

ა(ა)იპ-ისსაქმიანობისსფეროსწარმოადგენდაბენეფიციართადაკმაყოფილებასაარსებოწყაროებზ ეხელმისაწვდომობისზრდით.ასევე, სახელმწიფოს (მათ შორის აფხაზეთის ა/რ-ის) და კერძო სექტორის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, საზოგადოების მონაწილეობით საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებიპირებისათვის, ნებისმიერი კანონიერი

გზით, დახმარების გაწევა მეწარმეობის განვითარებასა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვის, სპორტის, კულტურის, განათლებისა და ბუნების დაცვის სფეროებში სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

2023 წელს დამტკიცდა **პროგრამა „სინერგია“** - პროექტების თანადაფინანსება აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“. პროგრამის მიზანს წარმოადგენს აფხაზეთიდან იგპ-ებისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესება, ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა, დასაქმების ზრდა და კეთილდღეობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, კერძო და საჯარო სექტორთან, საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის, ფინანსური რესურსების მოძიებისა ან/და საერთო პროექტების (თანადაფინანსების) განხორციელების გზით. პროგრამის ფარგლებში:

- პროექტით „ჩემი სახლის მმართველი – შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის“ (რომელსაც აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა დაფინანსდა 4 თვის საცხოვრებელი ქირა სამეგრელოში, დაბა ჯვარში აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოყვანილი 6 ახალგაზრდისათვის, რომელთაც გაიარეს სანტექნიკის სერტიფიცირებული სასწავლო კურსი კოლეჯ ,,ლაკადაში";
- საგრანტო პროექტის “ვიტამინო” ფარგლებში 2022 წელს დამზადებული ჩირეული ნუგბარი, აფხაზეთის მთავრობის სახელით, საჩუქრად გადაეცა აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ ზუგდიდის, ხობისა და წყალტუბოს კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა საცხოვრებელ სახლებში. გადაცემული სასაჩუქრე შეფუთვა და ბრენდირება შეძენილ იქნა პროგრამის „სინერგია“ ფარგლებში;
- განხოეციელდა „დევნილთა ბიზნეს ინიციატივის მხარდაჭერის პროექტი“, რომელიც გულისხმობდა პირობიან, ღია კონკურსს ხილის, ბოსტნეულის ან/და ფოთლოვან-ღეროვანი მასის გაშრობა-დაჩირვა-გადამუშავებას ან/და შეფუთვა-დაფასოვებასთან დაკავშირებულ ბიზნეს ინიციატივის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერას. გამარჯვებული ბენეფიციარი, მისთვის გადაცემული ტექნიკა-დანადგარების მეშვეობით, წარმატებით ახორციელებს მრავალი სახის ხილ-ბოსტნეულის შრობაას და საკუთარიპროდუქციის პოპულარიციის და შემდგომი რეალიზაციის მიზნით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ღონისძიებებში და გამოფენებზე;
- დამტკიცდა პროექტი „ხონის მუნიციპალიტეტის დევნილთა ბიზნეს ინიციატივების - სოციალური საწარმო(ები) „სამკერვალო სახლისა“ და „სილამაზის სახლის“ მატერიალური მხარდაჭერა“ პროექტის საერთო ბიუჯეტია 60,000 ლარი და ფინანსდება აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროექტი ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2 მიმართულების განვითარებას: სამკერვალო საქმიანობის ხელშეწყობასთან და „სილამაზის სახლის“ მოწყობასთან დაკავშირებულ, დევნილთა ბიზნეს ინიციატივების მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას, აღნიშნული მიზნით ღია კონკურსების გამოცხადებას და გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენას. პროექტის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხონის მუნიციპალიტეტის მერიასთან და „ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფთან“.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის მიერმიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საგრანტო პროექტზე:

- სამაცივრე მეურნეობის მოწყობა
- „ახალგაზრდები მშვიდობისთვის“ (დევნილი ახალგაზრდების ხელშეწყობა მედიაწიგნიერებით და networking-ით)
- „დევნილთა ინფორმაციის წყარო“ (ყოვლისმომცველი ონლაინ პლატფორმა კომუნიკაციისა და შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობისათვის)
- სამაცივრე კონტეინერების მოწყობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილთა ეკონომიური გაძლიერებისათვის
- ქალთა რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დევნილი ქალების უფლებები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

## 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტრო

2023 წლის9თვეში აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისსამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა პროფილის მიზნობრივ პროგრამებს.

ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს. სამინისტროს 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი შეადგენს 1 582 000 ლარს, მათ შორის:

***ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა ამბულატორიული მომსახურების პროგრამის,*** *(პროგრამული კოდი 05 03) ( ბიუჯეტი შეადგენს 1 058 589ლარს)9 თვის დაზუსტებული გეგმა შედგენს 561 630 ლარს, პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი ქვეპროგრამებით:*

- ***კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის ქვეპროგრამის(პროგრამულიკოდი 05 03 01)***

მიმართულია რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. ითვალისწინებს კტ, კტ ანგიოგრაფიით კონტრასტით მომსახურებას არანაკლებ 128 შრიანი სკანერის მქონე კომპიუტერულ ტომოგრაფზე.

პროგრამის წლიური დამტკიცებული ბიუჯეტმა შეადგინა 70 000 ლარი.ქვეპროგრამა ხორციელდება ორ ეტაპად. ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა სს „კ.ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან“ 59 400 ლარზე და ითვალისწინებს 303 ეპიზოდის კომპიუტერული ტომოგრაფიის, კომპიუტერული ტომოგრაფიის ანგიოგრაფიით და კონტრასტით მომსახურების დაფინანსებას.

ქვეპროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გამოცხადდა მეორე ელექტრონული ტენდერი 50 000 ლარზე. გამარჯვებული გახდა და ხელშეკრულება გაფორმდა სს „კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან“ 42 840 ლარზე, რაც განხორციელდება მეოთხე კვარტლიდან.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 249 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 57 450 ლარზე. ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 57450 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 57 450 ლარი).

- **მაგნიტურ-რეზონანსულიტომოგრაფიულიგამოკვლევებისქვეპროგრამა**სამინისტრო პილოტურ

რეჟიმში ახორციელებს თანადაფინანსების გზით. ითვალისწინებს გამოკვლევის ჩატარებას კონტრასტით და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით. ქვეპროგრამის წლიური დამტკიცებული ბიუჯეტია 200 000 ლარი.
2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 856 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 199 196,8 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა - 199 197 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 199 196,8 ლარი).

- **ბავშვთა და მოზრდილთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამისმიზანია** აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (სამიზნე ჯგუფის) სპეციფიკური რეაბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტი ითვალისწინებს ექიმი-რეაბილიტოლოგის კონსულტაციას, ასევე საჭიროების მიხედვით ფიზიკურ თერაპიას (მასაჟი, ვარჯიში), აპარატურულ ფიზიოთერაპიას და ჰიდროკინეზოთერაპიას.

ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტია 160 650 ლარი. (დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი 40000 ლარი). ქვეპროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად. პირველი ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება შპს „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტთან" 30 650 ლარზე, რაც ანაზღაურებულია სრულად. (ხელშეკრულება შესრულებულია).

მეორე ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა და ხელშეკრულება გაფორმდა შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტთან" 42 840 ლარზე. რაც ასევე ანაზღაურებულია სრულად. (ხელშეკრულება შესრულებულია).

ქვეპროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გამოცხადდა მესამე ელექტრონული ტენდერი 87 160 ლარზე. გამარჯვებული კვლავ გახდა შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 79 872 ლარზე. ქვეპროგრამა განხორციელდება მეოთხე კვარტლიდან.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 231 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 73 490 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის

დაზუსტებული გეგმა 73 490 ლარი შესრულებულია 100 %-ით (საკასო ხარჯი 73 490 ლარი).

- **ინსტრუმენტული და ენდოსკოპიური გამოკვლევების ქვეპროგრამა**ითვალისწინებს ფინანსურ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ინსტრუმენტულ და ენდოსკოპიურ გამოკვლევებზე.

ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 69 465 ლარს (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 40 000 ლარი). ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება სს „კ. ერისთავის სახ, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან" 39 465 ლარზე.

ქვეპროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გამოცხადდა მეორე ელექტრონული ტენდერი 30 000 ლარზე. გამარჯვებულია სს „კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრი", ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყება მეოთხე კვარტლიდან.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 315 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 35 365 ლარზე და ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 35

365 ლარი, შესრულებულია 100%-ით. (საკასო ხარჯი 35 365 ლარი).

- **კლინიკურ-ლაბორატორიულიგამოკვლევებისქვეპროგრამა**ითვალისწინებს კოაგულოგრამის, D დიმერის, C რეაქტიული ცილის, ლიპიდური სპექტრის, ღვიძლის ფუნქციების, გლიკოზირებული ჰემოგლობინის და D ვიტამინის განსაზღვრის დაფინანსებას. სულ 395 ეპიზოდი.

გამოკვლევების ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „მედკაპიტალი" და ხელშეკრულება გაფორმდა 9 453 ლარზე.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 144 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 4315,8 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 4 316 ლარი შესრულებულია 100%-ით. (საკასო ხარჯი 4 315,8 ლარი).

- **დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევების ქვეპროგრამა**ითვალისწინებს ბენეფიციართა გეოგრაფიული და ფინანსური ხელმიწვდომობას კომპიუტერული კვლევებზე.

ქვეპროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტია 20 000 ლარი (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 10 000 ლარი) და ითვალისწინებს კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევის დაფინანსებას კონტრასტით და კონტრასტის გარეშე. პირველი ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა გამარჯვებულ კლინიკასთან სს ,,ევექსის კლინიკები", 10 000 ლარზე, რაც ანაზღაურებულია სრულად. (ხელსეკრულება შესრულებულია).

ქვეპროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გამოცხადდა მეორე ელექტრონული ტენდერი დარჩენილ 10 000 ლარზე. ორივე შემთხვევაში ტენდერი არ შედგა. ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყება მეოთხე კვარტლიდან.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 31 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 10 000 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა - 10 000 ლარი, შესრულებულია 100% %-ით. (საკასო ხარჯი 10 000 ლარი).

- **ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგიური მომსახურების ქვეპროგრამა**წარმოდგენილია ორი კომპონენტით. ბავშვთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს 4-დან 16 წლამდე ასაკის პირების მკურნალობას (თერაპია, ქირურგია), ხოლო მოზრდილთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს მთლიანი ან ნაწილობრივი (ზედა და/ან ქვედა ყბის) კბილების მოსახსნელი პროთეზით მომსახურებას.

ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 40 000 ლარს. ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მედჰელფთან" 31 955 ლარზე.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 76 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო

წარმოდგენილია 20 163 ლარზე. ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 20 163 ლარი შესრულებულია 100% -ით. (საკასო ხარჯი 20 163 ლარი). ქვეპროგრამის ბიუჯეტის დარჩენილ თანხაზე (60 000 ლარი) მეოთხე კვარტალში გამოცხადდება ახალი ელექტრონული ტენდერი.

- **მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის ქვეპროგრამა** ითვალისწინებს მხედველობის ორგანოთა დაავადებების ადრეულ დიაგნოსტიკას. ქვეპროგრამა წარმოდგენილია ორი კომპონენტით: პირველადი გამოკვლევების კომპონენტი ითვალისწინებს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, მხედველობის სიმახვილის დადგენას, რეფრაქტომეტრიას, ტონომეტრიას და წინა და უკანა საკნების ოფთალმოსკოპიას. დამატებითი გამოკვლევების კომპონენტი მოიცავს რქოვანას ტოპოგრაფიას, კოჰერენტულ ტომოგრაფიას და კომპიუტერულ პერიმეტრიას. ჯამში ორივე კომპონენტის ფარგლებში ქვეპროგრამა ითვალისწინებს 128 ეპიზოდის მომსახურებას.

ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 8 600 ლარს (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 10 000 ლარი). ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ავერსის კლინიკა“ და ხელშეკრულება გაფორმდა 8 600 ლარზე.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 97 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 5710 ლარზე. ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 5970 ლარი, შესრულებულია 98%-ით (საკასო ხარჯი 5 710 ლარი).

- **ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა** ითვალისწინებს დაავადების ადრეულდიაგნოსტიკა.ქვეპროგრამა ითვალისწინებსენდოკრინოლოგის კონსულტაციას, ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპიურ და ჰორმონალურ კვლევას. ჯამში ორივე კომპონენტის ფარგლებში ქვეპროგრამა ითვალისწინებს 470 ეპიზოდის მომსახურებას.

ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 14 450 ლარს. (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 20 000 ლარი). ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა სს „ევექსის კლინიკები“ და ხელშეკრულება გაფორმდა 14 450 ლარზე. (ეკონომიამ შეადგინა 5550 ლარი). ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო მარტის თვიდან.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 89 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 6 780 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა - 6 780 ლარი შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 6 780 ლარი).

პროგრამის განხორციელება დაიწყო მეორე კვარტლიდან.

- **სისხლის მიმოქცევის დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამა**ითვალისწინებს კარდიოლოგის კონსულტაციას ეკგ გადაღებით, 24 სთ-იანი ეკგ (ჰოლტერი) მონიტორირებას, ექოგრადიოგრაფიას და დატვირთვის სტრეს-ტესტს (ტრედმილი). ჯამში ქვეპროგრამა ითვალისწინებს 259 ეპიზოდის მომსახურებას.

ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 15 470 ლარს. (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 20 000 ლარი). ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკასთან" 15 470 ლარზე.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 135 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 10 070 ლარზე. ქვეპროგრამის 9თვის დაზუსტებული გეგმა - 10 070 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 50 070 ლარი).

- **რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა** ითვალისწინებს დადასტურებული უშვილობის დიაგნოზის მქონე დევნილ ბენეფიციართა ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას უშვილობის მკურნალობისა და ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ სერვისებზე თანადაფინანსების გზით.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 10 000 ლარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 12 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 5 530 ლარზე და ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა 5 530 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 5 530 ლარი).

- **ბავშვთა და ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა**ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა და ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ამბულატორიულ სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს. ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ავერსის კლინიკა" და ხელშეკრულება გაფორმდა 20 000 ლარზე.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 58 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 9 600 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა - 9 600 ლარი შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 9 600 ლარი). ქვეპროგრამის

განხორციელება დაიწყო მეორე კვარტლიდან.

- **ბიოფსია და მასთან დაკავშირებული გამოკვლევების ქვეპროგრამა**ითვალისწინებს ონკოლოგიური პათოლოგიების ადრეული და ზუსტი დიაგნოსტიკის მიზნით ბენეფიციართა ფინანსურ ხელმისაწვდომობას თანადაფინანსების გზით. ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტია ბიუჯეტია 28 938 ლარი. (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 20 000 ლარი).

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 69 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 19 403,9 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა 19 600 ლარი შესრულებულია 99%-ით (საკასო ხარჯი 19 403,9 ლარი).

- **„აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევის" ქვეპროგრამა**ითვალისწინებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა

ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვადასხვა დარღვევათა ადრეული დიაგნოსტიკასა და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრას. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს და ითვალისწინებს თბილისსა და რეგიონებში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, აჭარა, კახეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) დევნილი მოსახლეობის პროფილაქტიკურ გამოკვლევებს ადგილზე, საჭიროებისამებრ მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

2023 წლის 9 თვეში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 7 ღონისძიება:

1. ზუგდიდისმუნიციპალიტეტი-რუხისრესპუბლიკურისაავადმყოფო-გაისინჯა 260 ბენეფიციარი;
2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი-გაისინჯა 112 ბენეფიციარი;
3. თბილისისზღვა-სსიპვოვავეკუასსახ.აფხაზეთისN3საჯაროსკოლა-გაისინჯა87 მოსწავლე;
4. ვაშლიჯვარი-სსიპაფხაზეთისN2საჯაროსკოლა.გაისინჯა91მოსწავლე;
5. ქ.ხაშური-გაისინჯა70 ბენეფიციარი;
6. ფოთისმუნიციპალიტეტი-გაისინჯა203ბენეფიციარი;
7. სენაკისმუნიციპალიტეტი-გაისინჯა135ბენეფიციარი,

საერთო ჯამში გაისინჯა 958 ბენეფიციარი.

პროგრამის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით ხარჯვამ შეადგინა 34162,66 ლარი, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა 36 102 ლარი შესრულებულია 95%ით.

კომპონენტების მიხედვით ხარჯვა შემდეგია:

ა) მედიკამენტებით უზრუნველყოფა-ხორციელდებაკონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულკომპანიებთან(შპს''ავერსი-ფარმა'',სს''გეფა'',შპს''პსპ-ფარმა'') დადებულიხელშეკრულებების შესაბამისად. ხელშეკრულება დადებულია24508,63 ლარზე, საიდანაც შესყიდულია 22 069.93 ლარის მედიკამენტი. დარჩენილ თანხაზე მედიკამენტების შესყიდვა განხორციელდება დაგეგმილი ღონისძიების შესაბამისად. ღონისძიებების ფარგლებში მედიკამენტების ხარჯვამ შეადგინა 17832,21 ლარი.

ბ) ტრანსპორტით უზრუნველყოფა ხორციელდება პირდაპირი შესყიდვის გზით ი/მ დავით ბრაჭულთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. შესყიდულია 5 000კმ - 9 950 ლარის ღირებულების.

ღონისძიების ფარგლებში გაიხარჯა - 4610,83 ლარი

გ) სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფის კომპონენტზე სულ გათვალისწინებულია10 050 ლარი .ღონისძიებების ფარგლებში გახარჯულია 6544 ლარი.

დ) ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე შესყიდულია 958 ლარის სამედიცინო და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. ღონისძიების ფარგლებში გახარჯულია 640 ლარი.

- **„ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების**

**ხელშეწყობის ქვეპროგრამა**“ითვალისწინებს ონკოლოგიური პათოლოგიების მქონე ბენეფიციართა ფინანსურ ხელმისაწვდომობას თანადაფინანსების გზით. მისიბიუჯეტი შეადგენს 70 000 ლარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 56 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 33 590015 ლარზე. შესაბამისად ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა - 33 591 ლარი შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 33 590 ლარი).

- **ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა**

ითვალისწინებს მენტალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა სოციალურ ადაპტაციასა და საზოგადოების დამოუკიდებელ და აქტიურ წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

აბილიტაციის კომპონენტი ითვალისწინებს: ექიმი-ნევროლოგის კონსულტაციას და საჭიროების მიხედვით: ოკუპაციურ თერაპიას, მეტყველების თერაპიას, ფსიქოთერაპიას და ქცევით თერაპიას.

ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 59 106 ლარს. (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 40 000 ლარი). პირველი ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა შპს „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტთან“ 29 106 ლარზე, რაც ანაზღაურებულია სრულად. (ხელშეკრულება შესრულებულია).

ქვეპროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გამოცხადდა მეორე ელექტრონული ტენდერი 30 000 ლარზე. გამარჯვებული კვლავ გახდა შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 28 350 ლარზე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 39 ბენეფიციარის მომსახურებას, რაც განხორციელდება მეოთხე კვარტლიდან.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 62 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 29 106 ლარზე. შესაბამისად, 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 29 106 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 29 305 ლარი).

- **პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიული გამოკვლევის ქვეპროგრამა**ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიურ კვლევაზე ბენეფიციართა ფინანსურ ხელმისწვდომას თანადაფინანსების გზით. ბიუჯეტი შეადგენს 10 000 ლარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 15 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 4 750 ლარზე. შესაბამისად, ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული

გეგმა - 5 300 ლარი შესრულებულია 90%-ით (საკასო ხარჯი 4 750 ლარი).

ამრიგად, 2023 წლის 9 თვეში „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა ამბულატორიული დახმარების პროგრამის“ (05 03) ფარგლებში ჯამში დახმარება გაეწია 3 453 ბენეფიციარს. მათ შორის, სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ 2495 ბენეფიციარზე, ხოლო „აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევის“ ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 958 ბენეფიციარს. შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 558 683,31 ლარზე. პროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა 561 630 ლარი შესრულებულია 99.5%-ით (საკასო ხარჯი შეადგენს 558 683,31 ლარს).

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა სტაციონარული მომსახურების პროგრამა (05 06) ბიუჯეტი შეადგენს 523 411 ლარს. პროგრამის 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტია 329 649 ლარი. პროგრამა წარმოადგენილია სემდეგი ქვეპროგრამებით:

- **„დიაგნოსტიკისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების ქვეპროგრამა“**, ითვალისწინებს ჰოსპიტალურ სერვისზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ბიუჯეტი შეადგენს 793 411 ლარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 693 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 268 249 ლარზე. ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა

- 268 249,42 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 268 249,42 ლარი).

ცნობილია, რომ 2022 წლის პირველი ნოემბრიდან, სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბენეფიციართა მხრიდან თანადაფინანსების წილი.

- **„გეგმიური კორონალური ანგიოგრაფიის“ ქვეპროგრამა**ითვალისწინებს კორონარულ ანგიოგრაფიულ მომსახურებაზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას. ქვეპროგრამის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 30 000 ლარს. (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 40 000 ლარი). ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა შპს „ავერსის კლინიკა“ და ხელშეკრულება გაფორმდა 30 000 ლარზე. ტენდერის ეკონომიამ შეადგინა 10 000 ლარი.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 55 ბენეფიციარზე, მათ შორის, 50 ბენეფიციარმა ჩაიტარა მომსახურება. დაფინანსებული ბენეფიციარებიდან 5-ს ჩაუტარდა სტენტირება, შესაბამისად, მომსახურება მიიღო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 25 800 ლარზე და ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 25 800 ლარი, შესრულებულია 100%-ით (საკასო ხარჯი 25 800 ლარი).

- **„მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირების“ ქვეპროგრამა** ითვალისწინებს - მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირების ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას თანადაფინანსების გზით.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 26 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 35 598.69 ლარზე. ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 35 599 ლარი შესრულებულია 100 %-ით (საკასო ხარჯი 35 598 ლარი).

ამრიგად, 2023 წლის 9 თვეში „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა სტაციონარული მომსახურების პროგრამის“ (05 06) ფარგლებში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 774 ბენეფიციარზე, შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 329 648,11 ლარზე, პროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა 329 649 ლარი შესრულებულია 100%-ით. საკასო ხარჯი შეადგენს 329 648,11 ლარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროში მოქმედი პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია 4 227 ბენეფიციარს, რაც 1113 ბენეფიციარით მეტია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. (2022 წლის 9 თვე - 3114 ბენეფიციარი). მათ შორის, ამბულატორიული პროგრამის

ფარგლებში დახმარება გაეწია - 3 453 ბენეფიციარს; სტაციონარული პროგრამის ფარგლებში - 774 ბენეფიციარს.

2023 წლის 9 თვეში სამინისტროში მოქმედი პროგრამების ფარგლებში შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 888 331,42 ლარზე, პროგრამის 9 თვის დაზუსტებული გეგმა - 891 279 ლარი შესრულებულია 99,6%-ით, საკასო ხარჯი შეადგენს 888 331,42 ლარს.

ბიუჯეტის დაზუსტება განაპირობა რამდენიმე გარემოებამ: ქვეპროგრამების ფარგლებში გამოცხადებული ტენდერების ნაწილი დასრულდა უარყოფითი შედეგით, შესაბამისად, განმეორებით გამოცხადებული ტენდერების გამო მომსახურების მიწოდება დაიწყო გვიან. კომისიური წესით დაფინანსდა გაცილებით მეტი ბენეფიციარი, თუმცა ბენეფიციარებზე გაცემული საგარანტიოების თანხის გადარიცხვა საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო.

***ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კორდინაციის სააგენტო***

1. „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების(მათ შორის კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერის პროგრამა"წლიური ბიუჯეტი 15 000 ლარი.

2023 წლის 9 თვის განმავლობაში ქვეპროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 11000,00 ლარის მედიკამენტების შესყიდვა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისთვის. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულია 10 904 ლარის ღირებულების 52 დასახელების მედიკამენტი, რაც შესრულების 100% - ია.

2. „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურებისქვეპროგრამა" ბიუჯეტი სეადგენს 95 000 ლარს.

ქვეპროგრამის 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 65 000 ლარს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა სამედიცინო მომსახურების (ექიმის კონსულტაცია და ამბულატორიული კვლევები) დაფინანსების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 18 კომისია, დაფინანსებულია 107 ბენეფიციარი, ქვეპროგრამის ფაქტიური ათვისება შეადგენს 63347 ლარს, რაც შესრულების 97,5 %-ია.

**ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა - წლიური ბიუჯეტი შეადგენს 25 000 ლარს.**

გალის რაიონში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისთვის, საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა 6760 ლარის ღირებულების სამედიცინო ინვენტარი და სამედიცინო ხელთათმანები. პროგრამის ფარგლებში, ასევე განხორციელდა მწყობრიდან გამოსული გალის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის დიაგნოსტირება და შეკეთება, რომელზეც გაიხარჯა 7276,7 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 15 000 ლარს, ფაქტიური ათვისება - 14 986,7 ლარი, პროცენტულიშესრულება -99,9 %

**ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, მოქალაქეობის არმქონე პირთა სარეაბილიტაციო მომსახურება - წლიური ბიუჯეტი შეადგენს -10 000 ლარს.**

ქვეპროგრამა საპილოტეა და მისი გახორციელება დაიგეგმა მიმდინარე წლის მეორე კვარტლიდან. პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა 10 000 ლარი (მოძიებული შიდა რესურსის ხარჯზე) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში“ აისახა მაისში.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოაქალაქეობის არმქონე პირთა მომსახურებას, ტრამვის შემდგომი ან ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვებისა და მოზრდილების რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამა განხორციელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად პირდაპირი შესყიდვის გზით. ხელშეკრულება გაფორმდა შპს „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტთან“ 9750 ლარზე. საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში კომისიურად დაფინანსებულია 5 ბენეფიციარი, რომელთაგან მხოლოდ სამმა შეძლო რეაბილიტაციის სრული კურსის გავლა, ხოლო 2-მა კი ვერ მოახერხა პროგრამით სარგებლობა. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1824 ლარს. შესრულება შეადგენს 30,40%.

**ოკუპირებული აფხაზეთს ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება -წლიური ბიუჯეტი შეადგენს - 10 000 ლარს.**

ქვეპროგრამა საპილოტეა და მისი გახორციელება დაიწყო II კვარტლიდან. ქვეპროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ამაღლება. ქვეპროგრამა ხორციელდება ეტაპობრივად, ექიმებისა და ექთნებისთვის და გათვალისწინებულია 12 საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ექთნის და 11 ექიმის გადამზადება.

ქვეპროგრამა განხორციელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, პირდაპირი შესყიდვის გზით. ხელშეკრულება გაფორმდა სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან“ თანხაზე - 9750 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დიპლომისშემდგომი მოკლევადიანი გადამზადების (5 დღიანი) კურსი გაიარა 12 ექთანმა და 11 ექიმმა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადარიცხულია სრულად. ქვეპროგრამის ფაქტიური ათვისება შეადგენს 100 %- ს.

## 3. *განათლების და კულტურის სამინისტრო*

**2023 წლის 9 თვეში განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები და აქტივობები:**

**გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)**

პროგრამის აღწერა; პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება, რაც ხელს უწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შედეგი:„გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუსიკალური და სამხატვრო პედაგოგები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (87 პედაგოგი, 93 ტექპერსონალი).

**წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭრა**

პროგრამის აღწერა; ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული, ნიჭიერი, საზოგადოებრივად აქტიური სტუდენტი-ახალგაზრდების სწავლების ფინანსური მხარდაჭერა, რაცხელს უწყობს კვალიფიციურიკადრებისმომზადებას,პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. კონკრეტულიპროექტისგანხორციელებაწარმოადგენსაფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისმხრიდანახალგაზრდობისმხარდაჭერისქმედითღონისძიებას.

შედეგი - 2023 წლის პირველ-მეორე-მესამე კვარტალში განხილულიქნა197 განცხადება, პროგრამითგანსაზღვრულიკრიტერიუმებისმიხედვითდაფინანსდააფხაზეთიდან დევნილი176 წარმატებულიახალგაზრდა.

**აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია**

პროგრამის აღწერა:პროგრამა ემსახურება ახალგაზრდებში მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებისსაგნებისშესწავლის

მოტივაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

შედეგი:ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის პირველ-მეორე კვარტალში დაფინანსდნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიანტები - **გოგი კეჟერაძე** და **დავით მელიქიძე,** ხოლომესამე კვარტალში დაფინანსდნენ - **ილია ყიფშიძე** და **ნიკა არეშიძე**.

**დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა დაჟიულიშარტავასსახელობის სტიპენდიები**

გასულისაუკუნის 90-იანწლებშიაფხაზეთშიგანვითარებულიმოვლენებიდანმრავალიწელიგავიდა. კონფლიქტისშემდგომპერიოდშიაფხაზეთისტრაგედიამუდმივადიყომსჯელობის, დისკუსიის, დებატების, მწვავეპოლემიკის, კვლევისსაგანი. დღესახალგაზრდებმა აფხაზეთისკონფლიქტისშესახებმხოლოდგადმოცემებითანწიგნებიდან იციან დაყოველივესაღიქვამენროგორცწარსულისდრამატულმოვლენას. ზოგადადთვალშისაცემია აფხაზეთისთემისახლებურადგააზრების დაფუნდამენტურიკვლევისსიმწირე.

პროგრამის აღწერა;ქვეპროგრამა ემსახურება სტუდენტებში აფხაზეთის თემატიკის გააქტიურებასა და პოპულარიზაციას, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას.

შედეგი: ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის პირველ-მეორე კვარტალში დაფინანსდა ჟიულიშარტავასსახელობისსტიპენდიანტინინო ბიგვავა, ხოლო მესამე კვარტალში დაფინანსდნენ -რევაზ ბერულავა დაშოთა მშვენიერაძე.

**ონლაინ საკვირაო სკოლა**

პროგრამის აღწერა:ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების განსხვავებული ფორმატით სწავლების პროცესში. ონლაინ შეხვედრები იმართება ინტერაქტიული, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განსხვავებულად შეიმეცნონ ტრადიციული საგნები.

შედეგი: ქვეპროგრამის ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს (ბენეფიციართა რაოდენობა -160 მოსწავლე, რვა ჯგუფი) ჩაუტარდათ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების გაკვეთილები. ონლაინ შეხვედრები იმართება ინტერაქტიული, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. თითოეულ ჯგუფს ჩაუტარდა (თვეში) 4 შეხვედრა სამივე საგნობრივი მიმართულებით. ქვეპროგრამის ფარგლებში კოორდინატორებს გადაეცათ კომპიუტერები.

**„აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“**

პროგრამის აღწერა:ქვეპროგრამა ემსახურება მასობრივი სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას ახალგაზრდებში. ბენეფიცირები აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები არიან. ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ხუთ სახეობაში, კერძოდ: მძლეოსნურიგეზრბენი (კროსი), მინიფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდისჩოგბურთი, ფრენბურთი.

შედეგი:ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები (მონაწილე გუნდების განაცხადების მიღება, თამაშების განრიგის შედგენა) შეძენილ იქნა თასები, მედლები, სპორტული ფორმები და სხვა სპორტული ინვენტარი.
აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შეჯიბრებები ჩატარდა აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მოთხოვნების გათვალისწინებით შემდეგ სახეობებში - მძლეოსნური გეზრბენი, მინი ფეხბურთი, 3X3 კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი.

გამარჯვებული გუნდები:

- ✓ გეზრბენი - აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის (გოგონათა) და(ვაჟთა) გუნდი;
- ✓ მინი ფეხბურთი - აფხაზეთის № 6 საჯარო სკოლის( ვაჟთა) გუნდი;
- ✓ 3X3 კალათბურთი ოკუპირებული გალის რაიონის ზემო ბარღების საშუალო სკოლის(ვაჟთა) და (გოგონათა) გუნდი;
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი - აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის(ვაჟთა) და (გოგონათა)გუნდი;
- ✓ ფრენბურთი- აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის(ვაჟთა) და (გოგონათა)გუნდი.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ მაისურები, შორტები, მედლები, თასი. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი აფხაზეთის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის.

სულ მონაწილეობდა 324 მოსწავლე.

გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ თამაშებში.

**აფხაზეთის მოზარდები მედიაპროექტში „ეტალონი“**

მიზანი-ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ აფხაზეთისსაჯარო დაოკუპირებულიგალისრაიონისსაშუალოსკოლებისმოსწავლეები.მოზარდებს აფხაზეთიდანეძლევათ საშუალებამონაწილეობა მიიღონ მედია-პროექტ „ეტალონში“, წარმოაჩინონ საკუთარირესურსიდაინტელექტი.
შედეგი:

- ✓ ინტელექტუალური ჩემპიონატის ჩატარების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება (N20,2022 წ.)შპს „ეტალონი-მედიასთან“ ;
- ✓ გაიმართა შიდასასკოლო ტურები, გამოვლინდა ფინალური ეტაპის მონაწილეები;
- ✓ ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატში„ეტალონი" გამარჯვებული პირველი ათეულისთვის შეძენილ იქნა წიგნები;
- ✓ ეტალონის პირველ შესარჩევ ეტაპში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის გალის რაიონის საშუალო სკოლების სულ 259 მოსწავლემ, რომელთაგან შეირჩა და მეორე ტურში გადავიდა46მოსწავლე;
- ✓ 2 მაისს,აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისგანათლებისადაკულტურისსამინისტროში, ვ. არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში, „ეტალონის“ საქართველოსეროვნულიინტელექტ-ჩემპიონატიჩატარდა. 2023 წლის „ეტალონიმოსწავლე“ სსიპ აფხაზეთის №10საჯაროსკოლის X კლასისმოსწავლელიზი გორდულაძე (67ქულა) გახდა. პირველ ათეული დაჯილდოვდასამინისტროს მხრიდან.

**პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში**

მიზანი - პროგრამისფარგლებშიმოსწავლეებსშესაძლებლობაექნებათ მოსინჯონსაკუთარიძალებისხვადასხვაპროფესიაში. პროფესიული განათლების შესაძლებლობის თაობაზე აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის განხორციელდა საინფორმაციო ტურები, მოხდა აფხაზეთის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების მიმართულებით სკოლების ინიციატივების დაფინანსება.
შედეგი:
- აფხაზეთის საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეები ქვეპროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის - „ლაკადას“, „ფაზისისა“ და „იბერიის“ კოლეჯებში;
- ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის პროექტი „ხეზე მხატვრული კვეთა“ ( 5 947.75 ლარი).

**„სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“**

მიზანი-ქვეპროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესისათვის,სკოლების საჭიროებების გათვალისწინებით გამოიყოფა თანხასასკოლო და სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების, თვალსაჩინოებების, კლასგარეშე დამხმარე ლიტერატურისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საჭირო მასალების შესაძენად.

შედეგი:
- „სასკოლოინფრასტრუქტურისადასასწავლოგარემოსგაუმჯობესება“ - ქვეპროგრამისფარგლებშიაფხაზეთისგანათლებისადაკულტურისსამინისტრომ, სსიპაფხაზეთის N12 საჯაროსკოლისსაგანმანათლებლოსივრცის (ბიბლიოთეკა) ოთახისრეაბილიტაციისმიზნითთანადაფინანსებისსახითგამოყო 12 000 ლარი;
- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო სკოლებისთვის მოხდა საკანცელარიო ნივთების შეძენა და გალის საგანმანათლებლო რესუსრცენტრისთვის გადაცემა (4 958 ლარი);
- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ-აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას, მოთხოვნის საფუძველზე,სპორტული დარბაზის სახურავის, გასახდელი ოთახებისა და საშხაპეების რეაბილიტაციისთვის გამოეყო 45 979 ლარი;
- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას, მოთხოვნის საფუძველზე, შშმ პირებისთვის ამწე-ლიფტის კონსტრუქციის მოსაწყობად გამოეყო 7 000 ლარი;
- სსიპ აფახაზეთის N14 საჯარო სკოლას, მოთხოვნის საფუძველზე, სკოლის სააქტო დარბაზისთვის 36 სკამის შეძენის მიზნით, გამოეყო 5 040 ლარი.

**თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბისკირიასა დამიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები (ქვეპროგრამისკოდი: 06 04 23 )**

მნიშვნელოვანია ახლგაზრდა თაობა იცნობდეს გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეებს აფხაზეთიდან, რომლებმაც თავისი ცხოვრებით, საქმიანობით, თავგანწირვითა და სახელმწიფოს მსახურებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში.ამ მიზნით შემუშავდა ქვეპროგრამა თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა დამიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები, რომლებიც ახალგაზრდებში სწავლის მოტივაციის ზრდასა და პიროვნული პოტენციალის განვითარებასთან ერთად პატრიოტული სულისკვეთების მატარებელია.

პროგრამის აღწერა:ქვეპროგრამის ფარგლებში თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა დამიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების შესაბამისად, პირველი ასი საუკეთესო შედეგის აბიტურიენტს შორის ოთხი საუკეთესო შედეგის მქონე (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)) იძულებით გადაადგილებულ პირებზე აფხაზეთიდან. თანაბარი ქულების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა მესამე სავალდებულო საგანში მიღებული საუკეთესო ქულის მიხედვით.

შედეგი: ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის პირველ კვარტალში დაფინანსდნენ სტიპენდიანტები: ვიტალი გუგუშვილი, თია ალხაზიშვილი, ნიკა გვალია, გიორგი ოთინაშვილი.

**2023 წელს, ეროვნული გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლინდნენ სტიპენდიანტები:**

- თამაზნადარეიშვილისსტიპენდიამიენიჭამარიამშონიას - ქუთაისისსაერთაშორისოუნივერსიტეტისმათემატიკისპროგრამისსტუდენტს;
- ლორიკმარშანიასსტიპენდიამიენიჭაკესარიაგელოვანს - თბილისისთავისუფალიუნივერსიტისკომპიუტერულიმეცნიერებისადამათემატიკისპროგრამისსტუდენტს;
- გურამგაბესკირიასსტიპენდიამიენიჭააკაკიძიძიგურს - თბილისისთავისუფალიუნივერსიტეტისკომპიუტერულიმეცნიერებისადამათემატიკისპროგრამისსტუდენტს;
- მიხეილჯინჭარაძისსახელობისსტიპენდიამიენიჭაბაგრატშონიას - თბილისისთავისუფალიუნივერსიტეტისკომპიუტერულიმეცნიერებისადამათემატიკისპროგრამისსტუდენტს.

**აფხაზური ენის პოპულარიზაცია**

**მიზანი-**ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზურიენისდაცვას, პოპულარიზაციას, ცნობადობის ზრდასფართო მასებში. აფხაზურიენის პოპულარიზაცია განხორციელდება თემატური ჩანაწერების სოციალურ ქსელში კამპანიურად გავრცელების გზით.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ აფხაზური ენით დაინტერესებული პირები, საზოგადოების ფართო მასები.

შედეგი:

- შეიქმნა 40 ვიდეოკონტენტი;
- ვიდეოები აიტვირთვა და გავრცელდა სოციალურ ქსელებში.

**აფხაზურიენისპედაგოგთაფინანსურიმხარდაჭერა**

მიზანი -ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზურიენისდაცვას, პოპულარიზაციასადაგანვითარებასმოზარდ-ახალგაზრდებში. პროგრამის ბენეფიცირებს წარმოადგენენ აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის პედაგოგები.სამინისტრო„აფხაზურიენისპედაგოგთაფინანსურიმხარდაჭერის“ ქვეპროგრამისფარგლებშიუზრუნველყოფსაფხაზურიენისმასწავლებლებისფინანსურდახმარებას.

**შედეგი:**

ქვეპროგრამისფარგლებშიფინანსდებიან აფხაზეთისსაჯაროსკოლისაფხაზურიენისპედაგოგები (5 პედაგოგი).

**„საზაფხულო ბანაკი“**

მიზანი - „საზაფხულო ბანაკის“ ბენეფიციარები არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ქვეპროგრამის „ონლაინ საკვირაო სკოლის“ 35 მოსწავლე. მონაწილენი გაიუმჯობესებენ საგნობრივ კომპეტენციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში, ხელოვნებაში. ტრენინგ-სემინარების ფორმატში ხელი შეეწყობა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, პიროვნული უნარ-ჩვევების წარმოჩენასა და განვითარებას.

„საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ ეწვიონ აჭარაში ფუნქციონირებად პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებას, გაეცნობიან პროფესიული სწავლების სპეციფიკას, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიული გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს.

**შედეგი:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგ-სემინარებისხვადასხვასაგნობრივი მიმართულებით (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ხელოვნება და სხვა). საზაფხულო ბანაკის ბენეფიციარებმა შეძლეს საკვირაო სკოლის ფარგლებში ცალკეულ დისციპლინაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა და განვითარება.

„საზაფხულობანაკის“ ფარგლებშიშედგავიზიტისაზოგადოებრივკოლეჯში„ახალიტალღა“. მოსწავლეებიგაეცნენპროფესიულისწავლებისსპეციფიკას, კოლეჯისმატერიალურ-ტექნიკურბაზას, პროფესიულიგადამზადებისმიზნობრივპროგრამებს, რამაცახალგაზრდებშიდიდიდაინტერესებაგამოიწვია.

ბანაკისპროგრამაარამარტოსწავლების, ასევეგართობისადადასვენებისკომპონენტისგანშედგებოდა. „საზაფხულობანაკის“ ფარგლებშიმონაწილეებიყოველდღიურად, საინტერესოაქტივობებითდატვირთულდღეებსატარებდნენ,იმართებოდაკულტურულ-შემეცნებითიდასპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები (დილისვარჯიში, სპორტულიშეჯიბრებები, შემოქმედებითისაღამოებიდასხვა). ბანაკმახელიშეუწყომოზარდებშიდამეგობრებას, ცოდნისამაღლებას, საჭიროუნარ-ჩვევებისგამომუშავებას.

ბანაკისმონაწილეებსგადაეცათ სხვადასხვა ნომინაციისა და„ბანკი 2022“-ისმონაწილისსერტიფიკატები.

**„თანაბარი შესაძლებლობები-თანაბარი მზრუნველობა“**

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ყოველ ადამიანს, მიუხედავად მისი უნარებისა, უფლება აქვს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ამისთვის კი აუცილებელია ინტეგრირდეს საზოგადოებაში, რაშიც თავად საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი. ინკლუზიური განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი და პედაგოგებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ამ საქმეში.
შშმ მოზარდები საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით საჭიროებენ სპეციალურ ფსიქოსოციალურ აქტივობებში ჩართვას. მათი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის სოციალური აქტივობის სიმწირე. სოციუმში ინტეგრაციის მცდელობისას ისინი ხშირად აწყდებიან ბარიერებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ირღვევა მათი უფლებები.
მიზანი - ქვეპროგრამა ემსახურება სპეციალური და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს შშმ მოზარდთა სოციალიზაციის პროცესს.

**შედეგი:**

➢ ქ. ზუგდიდში, 10-14 ივლისს, ბიბლიოთეკა - კულტურულცენტრ „თანადგომასთან" ერთად, სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდების მშობლების ცნობიერების ამაღლების კურსი განხორციელდა.
ტრენინგი მიმდინარეობდა 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს შესაბამისი ვიდეო ფილმები, საკითხავი მასალა, უზრუნველყოფილნი იყვნენ კვებით. პროგრამის დასასრულს მშობლებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

**შეხვედრები**

(ღვაწლმოსილ პედაგოგებთან; მედალოსან კურსდამთავრებულებთან; წარმატებულ სტუდენტ -ახალგაზრდობასთან)

მიზანი - ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგების მხარდაჭერას, მასწავლებლისპროფესიის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას.

**შედეგი:**

➢ მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგებისა და წლის საუკეთესო პედაგოგებისთვის შეძენილ იქნა 12 ცალი ელიტ-ელექტრონიქსის ტექნიკის 400 ლარიანი ვაუჩერი;

➢ ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულთათვის შეძენილ იქნა წიგნები;
ღვაწლმოსილი პედაგოგებისა და წლის საუკეთესო პედაგოგების სიგელებისთვის შეძენილ იქნა 12 ცალი ჩარჩო;

**„აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა"**

მიზანი - აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებას და აფხაზეთთან დაკავშირებული თემების სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში კიდევ უფრო წარმოჩენას.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

კომისიისგადაწყვეტილებითპირველ, მეორე და მესამე კვარტალში დაფინანსდაწარმოდგენილიშემდეგიპროექტები:

- ტიტემოსია - „რუსთაველისრელიგიურიმსოფლმხედველობისკვლევისისტორიიდან“;
- როლანდთოფჩიშვილი - „ქართულ-აფხაზურიდაქართულ-ოსურიურთიერთობებისდამახინჯებადაარამხოლოდ...“
- კახაბერ ფიფია - „არისტარქე კოლხი“;
- სალომე ქარჩავა - დუბროვნიკში ევროპის სტომატოლოგთა ასოციაციის საზაფხულო ბანაკში გამგზავრება (თბილისი-მიუნჰენი-დუბროვნიკი-მიუნჰენი-თბილისი);
- სალომე შონია - ქ. ვენის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სასწავლებლად გამგზავრება (ქუთაისი-ვენის მიმართულებით);
- სოფია ჯალაღონია - დაფინანსდა იაპონიის ცუკუბას უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სასწავლებლად გამგზავრება (თბილისი-დოჰა-ტოკიო);

